სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

მაისი 2022

2022 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **148 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **255 ლარი.** საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში **105 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში **468 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 581 ლარი შეადგინა, თბილისში - 558, გურიაში - 474, ხოლო აჭარაში - 457 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 მაისი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2022 წლის მაისში, 2022 წლის აპრილთან შედარებით, 8.1%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.1%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით გაიზარდა.

2022 წლის მაისში, 2021 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 8.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.1%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 13.5%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 მაი/ 2022 აპრ	2022 მაი/ 2021 მაი	2022 მაი/ 2022 აპრ	2022 მაი/ 2021 მაი	2022 მაი/ 2022 აპრ	2022 მაი/ 2021 მაი
კახეთი	5.6%	21.4%	10.7%	21.2%	2.4%	21.4%
იმერეთი	1.4%	12.4%	1.0%	-1.8%	1.7%	25.3%
გურია	22.3%	-4.1%	30.7%	-1.0%	0.0%	-12.8%
ქვემო ქართლი	0.0%	-9.8%	0.0%	13.4%	0.0%	-42.9%
აჭარა	10.9%	12.6%	13.4%	13.3%	8.3%	10.7%
რაჭა	-15.6%	28.8%			-15.6%	28.8%
შიდა ქართლი	4.6%	1.7%	0.9%	4.6%	6.5%	-6.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.0%	0.0%	6.5%	-7.0%	7.5%	6.1%
სამცხე-ჯავახეთი	-1.1%	0.2%	2.4%	7.4%	-3.6%	-6.5%
მცხეთა-მთიანეთი	2.7%	2.5%	-0.1%	-1.9%	5.2%	6.7%
თბილისი	9.3%	8.5%	9.6%	7.4%	6.5%	18.7%
სულ ფასების % ცვლილება	**8.1%**	**8.9%**	**9.1%**	**8.1%**	**5.5%**	**13.5%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2022 წლის მაისში, 2022 წლის აპრილის ფასებთან და 2021 წლის მაისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.